პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 131 (4381)

1971 წ. 3 ივლისი, შაბათი. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

გამოთხოვება კოსმოსის გმირებთან

საბჭოთა ადამიანები, მთელი პროგრესული კაცობრიობა დიდად დაამწუხრა ჩვენი სამშობლოს შესანიშნავი შვილების, კოსმოსის დამპყრობი გმირების გიორგი ტიმოთეს ძე დობროვოლსკის, ვლადისლავ ნიკოლოზის ძე ვოლკოვის, ვიქტორ ივანეს ძე პაცაევის დაღუპვამ.

... საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის წითელდროშოვანი დარბაზი ძაძებით არის მოსილი. 1 ივლისს 12 საათზე დაიწყო ხალხის შესვლა გმირებთან გამოსათხოვებლად.

პირველ სამგლოვიარო ვახტს ეწევიან დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისიის წევრები. საპატიო ყარაულში დგანან ა. პ. კირილენკო, დ. თ. უსტინოვი, ი. ვ. კაპიტონოვი, ლ. ვ. სმირნოვი, მ. ვ. კელდიში, ა. ა. გრეჩკო, ს. ა. აფანასიევი, ლ. ა. ბორისოვი, ვ. თ. პრომისლოვი, ვ. ა. შატალოვი, მ. პ. გეორგაძე, მ. ს. სმირტიუკოვი.

ხალხის ნაკადი შედის დარბაზში, სადაც ჟღერს სამგლოვიარო მელოდიები.

სამგლოვიარო ვახტზე დგებიან სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავები.

კვარცხლბეკის გარშემო აწყვია გვირგვინები — სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოსაგან, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტისაგან, საკავშირო პროფსაბჭოსაგან, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისაგან, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტისა და მოსკოვის საბჭოს აღმასკომისაგან, სამხედრო ოლქებისა და ნაწილების სარდლობისაგან, სამხედრო აკადემიებისაგან, სამინისტროებისა და უწყებებისაგან, კოსმონავტი მფრინავებისაგან, გმირთა ნათესავებისა და მახლობლებისაგან განუწყვეტლივ შემოაქვთ ახალი გვირგვინები.

გმირთა ხსოვნის პატივსაცემად მოვიდნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები. საპატიო ყარაულში დგებიან ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, თ. დ. კულაკოვი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, პ. ნ. დემიჩევი, პ. მ. მაშეროვი, ვ. პ. მჟავანაძე, დ. თ. უსტინოვი, ი. ვ. კაპიტონოვი, კ. თ. კატუშევი, მ. ს. სოლომენცევი, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე გ. თ. სიზოვი.

• • •

გუშინ საბჭოთა ხალხი საბოლოოდ გამოეთხოვა სამშობლოს სახელოვან შვილებს, გმირ კოსმონავტ მფრინავებს გ. დობროვოლსკის, ვ. ვოლკოვსა და ვ. პაცაევს.

სამგლოვიარო პროცესია საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლიდან, სადაც დასვენებული იყო გმირი კოსმონავტების ნეშტები, წითელი მოედნისაკენ დაიძრა. წითელ მოედანზე გაიმართა სამგლოვიარო მიტინგი, რომელიც გახსნა დაკრძალვის მომწყობი სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარემ ა. კირილენკომ. სიტყვები წარმოთქვეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა მ. კელდიშმა, ქარხანა „კრასნი პროლეტარის" ზეინკალმა ა. რიბაკოვმა, პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ლ. ბორისოვმა, სსრ კავშირის კოსმონავტმა მფრინავმა, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირმა ვ. შატალოვმა.

სამგლოვიარო მიტინგი დამთავრდა. ურნებს გმირი კოსმონავტების ნეშტით დგამენ კრემლის კედელში.

დაუმარცხებელი ლიდერი

საქართველოს ჩოგბურთელთა ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება. ვაჟთა ერთეულების ფინალურ ტურნირში კვლავ დაუმარცხებლად ლიდერობს ლ. მძინარიშვილი, რომელმაც მეოთხე და მეხუთე ტურების შეხვედრებიც მოიგო (გ. ახალაძესთან — 7:5, 6:4, და ბ. სენჩუროვთან — 6:2, 6:2). ქართული ჩოგბურთის ვეტერანს — მძინარიშვილს თავის დროზე საუცხოო ტექნიკა ჰქონდა, მაგრამ მუდამ უსაყვედურებდნენ უკმარი საბრძოლო თვისებების გამო. ამჯერად ვეტერანში უეცარი ცვლილება მოხდა, იგი გაბედულად იბრძვის შედარებით ახალგაზრდა მეტოქეებთან, დიდ ნებისყოფას ავლენს, თამაშობს თავისუფლად და კანონზომიერ წარმატებებსაც აღწევს. ტურნირის დაუმარცხებელ და ერთპიროვნულ ლიდერს (5 ქულა 5 შესაძლებლიდან) 2 შეხვედრა დარჩა ჩასატარებელი (ვ. პერეგუდოვთან და გ. მუსაელიანთან). საკმარისია მან აქედან ერთი შეხვედრა მოიგოს და საქართველოს ჩემპიონობას იგი მოიპოვებს.

ახალაძეს 4 ქულა აქვს 5 შესაძლებლიდან. მეხუთე ტურში მან დაამარცხა ვ. გოგლიძე (6:0, 6:3).

თ. კაკულიას 4 შესაძლებლიდან 3 ქულა აქვს. მან მეოთხე ტურში დაამარცხა ვ. პერეგუდოვი (6:3, 6:2).

ვ. პერეგუდოვსაც 3 ქულა აქვს, მაგრამ 5 შესაძლებლიდან. პერეგუდოვმა მეხუთე ტურში მოუგო მუსაელიანს (6:8, 6:4, 6:2).

პირველი ქულა ჩაიწერა ტურნირში სენჩუროვმა, როცა მეოთხე ტურის მატჩში სძლია მუსაელიანს (6:4, 6:1). მასავით თითო ქულა აქვთ გოგლიძეს და მუსაელიანს. გ. ლუკაშვილმა ჯერ ერთი მატჩიც ვერ მოიგო.

ქალთა ერთეულების ფინალურ ტურნირში ჯერჯერობით „ორხელისუფლებიანობაა". ა. ივანოვას და ნ. თუხარელს 5-5 ქულა აქვთ 5-5 შესაძლებლიდან. პირველმა მეხუთე ტურში დაამარცხა ლ. მგალობლიშვილი (6:1, 6:1), მეორემ — მეოთხე ტურში — მგალობლიშვილი (6:1, 6:1), ხოლო მეხუთე ტურში ტ. ფარსადანოვა (8:6, 7:5). დარჩა ბოლო ტური. სწორედ აქ — ივანოვასა და თუხარელის შეხვედრაში გაირკვევა საქართველოს წლევანდელი ჩემპიონის ვინაობა. დანარჩენი შეხვედრები ასეთი შედეგებით აღინიშნა: ხ. კეკელია — ვ. გოგუა 7:5, 3:6, 3:6, კეკელია — ო. პაპიანი 4:6, 6:8, გოგუა — ფარსადანოვა 3:6, 1:6. ქალთა ფინალური შვიდეულიდან ტურნირი უკვე დაამთავრა კეკელიამ. მან 6 თამაშიდან მხოლოდ 1 ქულა მიიღო (მოუგო მგალობლიშვილს), მაგრამ მაინც გვინდა აღვნიშნოთ, რომ ფინალის ამ ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშემ (კეკელიამ წლეულს დაამთავრა საშუალო სკოლა) ბევრ შეხვედრაში არ დაუდო ტოლი თავის გამოცდილ მეტოქეებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ მისი სახით მომავალში კარგი ჩოგბურთელი გაიზრდება.

გაირკვა ფინალისტთა ვინაობა ქალთა და ვაჟთა წყვილებში. ქალთა ფინალში გავიდნენ ივანოვა, თუხარელი და ფარსადანოვა, მგალობლიშვილი. პირველ წყვილს ნახევარფინალში არ უთამაშია, რადგან მატჩზე არ გამოცხადდნენ შაპოვალოვა და ელერდაშვილი. მეორე წყვილმა დაამარცხა აბჟანდაძე — პაპაიანის დუეტი — 6:3, 9:11, 6:0. III საპრიზო ადგილი უბრძოლველად ხვდათ აბჟანდაძესა და პაპაიანს, რადგან შაპოვალოვა და ელერდაშვილი ვერ ითამაშებენ (როგორც ადრე ვწერდით, შაპოვალოვა საკავშირო შეჯიბრებაზე გაემგზავრა).

ვაჟთა წყვილების ფინალში გავიდნენ კაკულია, პერეგუდოვი და გოგლიძე, ახალაძე. კაკულიამ და პერეგუდოვმა ნახევარფინალში მოუგეს სენჩუროვსა და მძინარიშვილს (6:4, 3:6, 6:2), ხოლო გოგლიძემ და ახალაძემ ვ. და პ. აბაშკინებს (6:1, 6:0).

ჯ. ენუქიძე.

ტექნიკური შედეგები

შერეული წყვილები. მეოთხედფინალი. ივანოვა, კაკულია — პრესნიაკოვა, დიბრინი (მეორე წყვილი არ გამოცხადდა, მოგება ჩაეთვალა პირველ წყვილს), მირიმანოვა, ჭავჭანიძე — ელერდაშვილი, გუნჩინი 1:6, 2:6, ფარსადანოვა, მძინარიშვილი — ი. მარუაშვილი, ახვლედიანი (მეორე წყვილი არ გამოცხადდა, მოგება ჩაეთვალა პირველ წყვილს), აბრამცევა, ასათიანი — პაპაიანი, ვ. აბაშკინი (პირველი წყვილი არ გამოცხადდა, მოგება ჩაეთვალა მეორე წყვილს), თუხარელი, სენჩუროვი — მ. მარუაშვილი, ჩხენკელი 6:2, 6:3, კეკელია, ფირცხალავა — შაპოვალოვა, პ. აბაშკინი (მეორე წყვილი არ გამოცხადდა, მოგება ჩაეთვალა პირველ წყვილს), მგალობლიშვილი, ჟორდანია — გოგუა, ოსიპოვი 6:4, 1:6, 6:0, აბჟანდაძე, პერეგუდოვი — ფალავანდიშვილი, კეკელია 6:1, 6:1.

მოტოკროსის ტრასაზე.

მ. თათარიშვილის ფოტო.

ი. ფხაკაძის საკავშირო რეკორდი

ჰელსინკი, 1 ივლისი. უამინდობამ და ძლიერმა ქარმა ხელი შეუშალა მძლეოსანთა დიდ საერთაშორისო ასპარეზობაში მონაწილეებს ეჩვენებინათ მაღალი შედეგები. პირველ დღეს დამყარებულ იქნა ფინეთის 2 ეროვნული რეკორდი. რ. ვილენმა 200 მეტრი დაფარა 20,8 წამში, ლ. ვირენმა 3 მილის გარბენას 13.14,2 მოანდომა. სტუმარმა რ. მანმა (აშშ) 400 მეტრი თარჯებით გაირბინა 48,8 წამში. ეს შედეგი საუკეთესოა წლეულს მსოფლიოში. ჭოკით ხტომა მოიგო ვ. ნორდვიგმა (გდრ) — 530 სმ.

სხვა სახეობებში გამარჯვებულთა შედეგები ასეთია: ურო — ი. ფახაკაძე (სსრ კავშირი) — 69,74 მ (იუნიორთა საკავშირო რეკორდი), 5000 მ — ჟ. ვადუ (საფრანგეთი) — 13.30,4; სიგრძეზე ხტომა — ჰ. ბაუმგარტნერი (გფრ) — 7,82 მ, ბადრო — ჯ. სილვესტრი (აშშ) — 61,94 მ. 800 მ — რ. ოუკო (კენია) — 1.48,0.

კროშინა — პირველი

ამერიკელმა ჩოგბურთელმა გორმენმა უიმბლდონის ტურნირში მეოთხედფინალური შეხვედრა მოუგო ავსტრალიელ ლეივერს ანგარიშით 9:7, 8:6, 6:3. ამ ცოტა ხანში ამერიკელის ეს უკვე მეორე გამარჯვებაა სახელგანთქმულ ავსტრალიელთან. როცა გორმენმა „კუინსკლაბის" ტურნირში დაამარცხა ლეივერი, ამას შემთხვევითობას მიაწერდნენ. ახლა კი ეს ამბავი უკვე კანონზომიერებად გვესახება. დანარჩენი მეოთხედფინალური მატჩები ასე დამთავრდა: სმითი (აშშ) — პერანი (ახალი ზელანდია) 8:6, 6:3, 6:4, როზუოლი (ავსტრალია) — რიჩი (აშშ) 6:8, 5:7, 6:4, 9:7, 7:5, ნიუკომბი (ავსტრალია) — დიბლი (ავსტრალია) 6:1, 6:2, 6:3.

ნახევარფინალში სმითმა დაამარცხა გორმენი (6:3, 8:6, 6:2) და ფინალში გავიდა. მეორე ფინალისტია ნიუკომბი, რომელმაც ფარ-ხმალი დააყრევინა როზუოლს (6:1, 6:1, 6:3).

ქალთა ერთეულების მეოთხედფინალური მატჩები ასე დამთავრდა: კორტი (ავსტრალია) — შოუ (დიდი ბრიტანეთი) 6:2, 6:1, ტეგარტ-დელტონი — მელვილი (ავსტრალია) 6:2, 3:6, 6:3, გულაგონგი (ავსტრალია) — რიჩი-განტერი (აშშ) 6:3, 6:2, კინგი (აშშ) — დიური (საფრანგეთი) 2:6, 6:2, 6:2. შემდეგ ჯერი ნახევარფინალურ შეხვედრებზე მიდგა. კორტმა მოუგო ტეგარტ-დელტონს (4:6, 6:1, 6:0), გულაგონგმა — კინგს (6:4, 6:4).

ვაჟთა წყვილების მესამე წრეში დამარცხდნენ თბილისელი ა. მეტრეველი და ავსტრალიელი კეიზი. მათ წააგეს ძლიერ მეტოქეებთან ლეივერთან და ემერსონთან — 3:6, 8:9, 3:6. შერეულ წყვილებში მეტრეველმა და მოროზოვამ პირველი შეხვედრა მოიგეს ბენტლისთან (დიდი ბრიტანეთი) და მაკდონალდთან (ახალი ზელანდია) — 6:2, 6:1. საბჭოთა ჩოგბურთელმა იანსონემ რიჩი-განტერთან შეხვედრის დროს მხარი იტკინა და ამის გამო ვერ იასპარეზებს შერეულ წყვილებში.

აღსანიშნავია მ. კროშინას წარმატება. მან გაიმარჯვა მოზარდთა ტურნირში.

◆ ბელგრადი, 2 ივლისი. 5 შეხვედრა ჩაატარა აქ სტუმრად მყოფმა მოსკოვის წყალბურთელთა ნაკრებმა. მართალია, იგი პირველ მატჩში დამარცხდა ბელგრადის ნაკრებ გუნდთან (5:7), მაგრამ დანარჩენი 4 შეხვედრა მოუგო „პრიმორეცს" — 5:2, 7:2, 6:2, 11:3.

◆ პრაღა, 2 ივლისი. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში გრძელ გზას დაადგებიან ჩეხოსლოვაკიელი ტურისტები. მათ გადაწყვეტილი აქვთ მოძმე ქვეყნის ტერიტორიაზე დაფარონ 4000 კმ, დალაშქრონ სიმაღლოვანი მწვერვალები.

◆ ბრუძენჩი, 2 ივლისი. პოლონეთის ამ ქალაქში გაიხსნა ავტოდრომი, რომელიც ერთ-ერთი პირველია ევროპაში. მისი დიამეტრი 32 მეტრია, მოგაგონებთ ველოტრეკს. ავტოდრომზე გამართულ შეჯიბრებებში მოდელებს შეუძლიათ განავითარონ 300 კმ სიჩქარე საათში.



„ტორპედო" გვჯობდა ყველაფრით

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 1 ივლისი.

„დინამო" (თბილისი) — „ტორპედო" (მოსკოვი) 0:2 (0:2).

„დინამო": ურუშაძე, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ებრალიძე, პეტრიაშვილი (მეტრეველი), კუტივაძე (გავაშელი), მაჩაიძე, ყიფიანი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

„ტორპედო": ბანიკოვი, ჩუმაკოვი, პახომოვი, კრასნოვი, იურინი, შუსტიკოვი, დეგტიარევი, პაისი, სმირნოვი, ნიკონოვი (იანეცი), ფეტისოვი.

მსაჯი ი. პონომარიოვი (კიშინიოვი).

როცა ცნობილი გახდა ფეხბურთის საკავშირო ფედერაციაში მომხდარი კენჭისყრის შედეგი იმის თაობაზე, რომ თბილისის „დინამოს" თასის მეოთხედფინალის მოგების შემთხვევაში მოსკოვის „ტორპედოსთან" ნახევარფინალი უნდა ეთამაშა მოწინააღმდეგის მინდორზე როსტოვში ან დონეცკში, გულშემატკივართა შორის დავა იყო იმის თაობაზე, თუ სად ჯობდა თამაში — როსტოვში თუ დონეცკში. უმჯობესობა ამჯობინებდა როსტოვს.

გულშემატკივრებს საკმაოდ გააჩნდათ არგუმენტები საიმისოდ, რომ მეოთხედფინალი „ტორპედოსთან" განვლილ ეტაპად მიეჩნიათ. ჯერ ერთი, ჩვენი გუნდი ტორპედოელებთან ყოველთვის კარგად თამაშობს, მეორეც — მოსკოველები წლევანდელ ჩემპიონატში ერთობ წარუმატებლად გამოდიან, ამასთან ძალზე „უკბილოდ" გამოიყურებიან. „ტორპედო" ცხრილის მეორე ნახევარშია, თითქმის სახიფათო ზონაში, 13 კალენდარულ მატჩში გატანილი აქვს ყველაზე ცოტა ბურთი უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის — 4 და საერთოდ, ჩემპიონატის 9 შეხვედრა ისე ჩაატარა, რომ მინდვრიდან უგოლოდ წავიდა.

ასეთი „ტორპედო", რაღაც არ გვახსოვს ბოლო წლებში და შეიძლება ამ გარემოებამ „საავანსო" თვითდამშვიდება გამოიწვია ჩვენს ფეხბურთელებში. აბა, რა უნდა გვექნას გუნდმა, რომელსაც 4 თამაშში თითო ბურთიც ვერ გააქვს, რისი იმედი უნდა ჰქონდეს ჩვენს სტაბილურად შეთამაშებულ დაცვასთან?

მაგრამ ყველამ კარგად იცის, რომ თასს თავისი კანონები აქვს. წინასწარ შემუშავებული რეცეპტები და უეჭველი პროგნოზები აქ არავის გამოადგება. დამშვიდება და საქმის მოთავებულად ჩათვლა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა მსაჯი ბოლო სასტვენს მისცემს და თამაშს დაამთავრებს, ხოლო მანამდე საჭიროა ბრძოლა, შეუპოვარი, ენერგიული, დაუღალავი ბრძოლა.

დინამოელებმა კი არ იბრძოლეს. პირველი წუთიდან მოყოლებული 45-მდე 11 ფეხბურთელი ისე უხალისოდ, ინერტულად, უგულოდ დადიოდა მინდორზე, თითქოს მათ რაღაც არაჩვეულებრივად მოსაწყენი, მოსაბეზრებელი, სხვისი საქმის შესრულება მიანდვეს და ამით დიდად შეაწუხეს. შეიძლება, ისინი ასეთივე სუსტ თამაშს მოელოდნენ ტორპედოელთა მხრივ და არ მიაჩნდათ საჭიროდ ბრძოლა იმ დონეზე, ძალების ისეთი ხარჯვა, როგორმაც მათ ამას წინათ „ნევთჩისთან" მოუწიათ. მაგრამ საკმაოდ სერიოზული სიგნალი ასეთი თამაშის აუცილებლობისთვის მიიღეს მაშინვე, როგორც კი მატჩი დაიწყო. მიმდინარეობდა მე-2 წუთი. მოსკოველებმა მარჯვნიდან მიაწოდეს კუთხური, პაისმა დაარტყა კარში და ურუშაძემ იოლი ბურთი გაუშვა ძელის მახლობლად. სმირნოვს გოლის გასატანად თითქმის არაფერი დასჭირებია, ვინაიდან მან ბურთს ზედ კარის ხაზზე მიუსწრო — 1:0.

რა გააკეთეს ამის მერე დინამოელებმა? არაფერი. ინიციატივის აღება საკუთარ თავზე, პირადი მაგალითის მიცემა, ტემპის მომატება არ უფიქრია არავის. ყველა რგოლი უკლებლივ ძალზე ცუდად თამაშობდა, იკარგებოდა უამრავი გადაცემა, თავდასხმა და ნახევარდაცვა სისტემატურად კარგავდა ბურთს, მოქმედებდა მხოლოდ ინდივიდუალურად და ამ მხრივაც ჩამორჩებოდა მეტოქეს.

ამასობაში „ტორპედო" სულ უფრო უმატებდა თამაშს. მისი ყოველი ფეხბურთელი მობილიზებული და ბრძოლისუნარიანი იყო, კომბინაციები სრულდებოდა სწრაფად, დაუყოვნებლად, ტაქტიკურად გამართულად. აქ აუცილებელი აღნიშვნის ღირსად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ გუნდის მწვრთნელმა ვ. მასლოვმა თავდასხმის მთავარი ცენტრალური ტანდემი გერშკოვიჩ-შალიმოვი არ გამოიყვანა მინდორზე, მხოლოდ შემცვლელ მოთამაშეებად ჩაწერა ოქმში და მათი ადგილი მიანდო ახალგაზრდა თავდამსხმელებს — სმირნოვსა და ნიკონოვს. ორივე ფეხბურთელმა გაამართლა მწვრთნელის იმედები და პაისთან და ფეტისოვთან ერთად შექმნა ძლიერი შეტევა, რომლის წინაშეც დინამოელთა დაცვა უძლური აღმოჩნდა.

35-ე წუთზე სტუმრებმა მორიგი კომბინაცია გაითამაშეს თბილისელთა საჯარიმო მოედანზე. სმირნოვი პირისპირ დარჩა ურუშაძესთან და ზუსტად გაგზავნა მეორე ბურთი ბადეში.

2 გოლი! ეს ისეთი ფორაა, რომლის გაქვითვას თავგანწირული ბრძოლა ჭირდება. სიმართლე არ იქნება ვთქვათ, რომ დინამოელები მეორე ტაიმში არ იბრძოდნენ. რა თქმა უნდა, შესვენების შემდეგ ისინი გაცილებით უკეთ გამოიყურებოდნენ, ვიდრე მანამდე. გაძლიერდა თამაში შუა მინდორში, მოიმატა შეტევის სიხშირემ და სიმწვავემ (რად ღირს, თუნდაც, ბანიკოვის მიერ აღებული ორი უიმედო ბურთი ხურცილავასგან, რისთვისაც მან გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქციის მიერ დაწესებული პრიზიც მიიღო), მაგრამ პირველი ტაიმის უმოქმედობა გუნდს ძალზე ძვირად დაუჯდა. ტორპედოელები კი მეორე ტაიმშიც ისევ საუცხოოდ თამაშობდნენ და თუ საგოლე მომენტებზე მიდგა საქმე, მათ ისინი საკმაოდ შექმნეს. ერთხელ, მაგალითად, ჭელიძეს მოუხდა ურუშაძის მიერ დატოვებული კარის გადარჩენა, ხელსაყრელი მდგომარეობანი ჰქონდათ პაისს, ფეტისოვს, სმირნოვს. ასე რომ, უკეთესად ჩატარებული მეორე ტაიმი მაინც ვერ აქარწყლებს იმ უკიდურესად ცუდ შთაბეჭდილებას, რომელიც ჩვენმა გუნდმა დატოვა ამ მატჩში.

არავითარ შემთხვევითობას ადგილი არა ჰქონია. გაიმარჯვა იმ გუნდმა, რომელმაც უფრო ძლიერად ითამაშა, ეს კი „ტორპედო" იყო. ახლა ტორპედოელებმა და მათმა გულშემატკივრებმა უნდა იდარდონ, რომ ნახევარფინალის მატჩი კენჭისყრამ როსტოვში გაამწესა. ჩვენ, როგორც იტყვიან, „თავისუფალნი" ვართ ამ სადარდელისგან.

გ. ქორქია.

ნორჩი გამარჯვებულნი

დამთავრდა თბილისელ ნორჩ ფეხბურთელთა ასპარეზობა „ტყავის ბურთის" პრიზზე, რომლის მონაწილე გუნდები 10 დღე იბრძოდნენ „ცისარტყელას" სტადიონის მწვანე მინდორზე.

უმცროს ასაკობრივ კატეგორიაში თავი გამოიჩინეს პირველი მაისის რაიონის № 12 სახლმმართველობის ფეხბურთელებმა, რომლებიც „თოლიას" სახელით გამოდიოდნენ (მწვრთნელი ა. დოლიძე). II ადგილზე გავიდა ორჯონიკიძის რაიონის № 74 სახლმმართველობის გუნდი „მერცხალი", III — ლენინის რაიონის № 95 სახლმმართველობის „ელვა".

ორჯონიკიძელებმა მოიპოვეს წარმატება უფროს ასაკშიც. ეს იყო № 67 სახლმმართველობის „თოლია" (მწვრთნელი ვ. ჭელიძე). მომდევნო ადგილებზე არიან „უშბა" (ოქტომბრის რაიონი, № 18 სახლმმართველობა) და „დილა" (პირველი მაისის რაიონი, № 15 სახლმმართველობა).

8 ივლისს დაიწყება ნორჩ ფეხბურთელთა რესპუბლიკური ფინალური შეჯიბრებები. უმცროსი ასაკის ბავშვები ითამაშებენ ყვარელში, ხოლო უფროსები — თბილისში.

1 ივლისს გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის 2 მატჩი.

კვლავ დაიბრუნეს ერთპიროვნული ლიდერობა კიევის დინამოელებმა, რომლებიც მინსკში ეთამაშებოდნენ თავიანთ იქაურ თანაკლუბელებს. სტუმრებს გამარჯვება მოუტანა 1 გატანილმა ბურთმა.

ასეთივე ანგარიშით — 1:0 მოსკოვის „დინამომ" მოუგო ცსკა-ს.

ნახევარფინალისტები

1 ივლისს შედგა სსრ კავშირის თასის 3 მეოთხედფინალური მატჩი. თბილისს გარდა შეხვედრები გაიმართა ბაქოსა და დონის როსტოვში.

უკიდურესი დაძაბულობით გამოირჩეოდა მატჩი ბაქოში, სადაც „ნევთჩიმ" მიიღო ლენინგრადის „ზენიტი". სულ ტაიმის ნახევარი იყო გასული და ბურთი სამჯერ აღმოჩნდა ბადეში. ანგარიში გახსნა ბაქოელმა სემიგლაზოვმა, ხოლო ტუაევმა მეორედ აიღო „ზენიტის" კარი. 24-ე წუთზე კოხმა შეძლო 1 საპასუხო ბურთის გატანა. შესვენების შემდეგ ბაქოელები დააწინაურა ბანიშევსკიმ. ხოლო 74-ე წუთზე კოხმა კიდევ ერთხელ გამოიჩინა თავი. ანგარიშით 3:2 გაიმარჯვა „ნევთჩიმ".

როსტოვის არმიელებმა შინ დაამარცხეს დონეცკის „შახტიორი" — 2:1. აქ წინ იყვნენ სტუმრები (შევლიუკი), მაგრამ ტაიმის ბოლო წუთზე მატვეენკომ პენალტით გაქვითა ეს გოლი. ხოლო ჩიხლაძემ 59-ე წუთზე ზუსტი დარტყმით დაამთავრა ზინჩენკო-მასლიაევის მიერ წამოწყებული კომბინაცია.

გუშინ მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „სპარტაკი" და ალმა-ათის „ყაირათი".

გამარჯვებულთა ნახევარფინალური შეხვედრები გაიმართება როსტოვსა და მოსკოვში.

სსრ კავშირის პირველობა

უმაღლესი ლიგა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" (კიევი)	13	8	4	1	16—5	20
„არარატი" (ერევანი)	13	7	4	2	16—6	18
„დინამო" (მოსკოვი)	13	6	6	1	14—6	18
„ნევთჩი" (ბაქო)	13	6	4	3	21—13	16
„ყაირათი" (ალმა-ათა)	13	5	5	3	18—16	15
„დინამო" (თბილისი)	12	6	2	4	9—11	14
„კარპატი" (ლვოვი)	13	4	5	4	15—16	13
ცსკა	14	4	5	5	13—14	13
„ზარია" (ვოროშილოვგრადი)	13	3	5	5	11—11	11
„ტორპედო" (მოსკოვი)	13	1	9	3	4—6	11
„დინამო" (მინსკი)	14	2	7	5	16—19	11
„სპარტაკი" (მოსკოვი)	13	2	7	4	11—14	11
ასკ (დონის როსტოვი)	13	3	4	6	11—17	10
„პახტაკორი" (ტაშკენტი)	13	2	6	5	7—17	10
„ზენიტი" (ლენინგრადი)	13	2	5	6	6—13	9
„შახტიორი" (დონეცკი)	12	4	0	8	6—10	8

II ლიგა IV ზონა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მეტალურგი" (რუსთავი)	14	7	6	1	19—6	20
„მეტალურგი" (ლიპეცკი)	14	7	5	2	25—10	19
„მეშახტე" (ტყიბული)	16	8	2	6	21—22	18
„მერცხალი" (მახარაძე)	14	5	7	2	13—11	17
„ტრუდი" (ვორონეჟი)	17	5	7	5	18—17	17
„სატურნი" (რიბინსკი)	14	7	2	5	16—14	16
„კოლხეთი" (ფოთი)	14	5	6	3	12—11	16
„მოტორი" (ვლადიმირი)	13	5	5	3	11—4	15
„ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი)	14	4	7	3	12—13	15
„დინამო" (ბათუმი)	16	4	7	5	11—14	15
„დილა" (გორი)	14	3	8	3	17—13	14
„სპარტაკი" (კოსტრომა)	14	3	8	3	16—14	14
„ხიმმაშოველი" (კენზა)	14	5	4	5	11—10	14
„დინამო" (სოხუმი)	15	4	6	5	13—15	14
„სპარტაკი" (სარანსკი)	15	5	3	7	9—14	13
„დინამო" (ვოლოგდა)	14	4	5	5	7—15	13
„სპარტაკი" (რიაზანი)	14	3	5	6	10—16	11
„მაშინოსტროიტელი" (პოდ.)	15	3	5	7	14—22	11
„სპარტაკი" (ტამბოვი)	14	3	3	8	7—13	9
„დინამო" (კიროვი)	15	2	5	8	9—17	9

სტატისტიკა, სტატისტიკა...

● სსრ კავშირის პირველ ნაკრებ გუნდში 1952 წლიდან მოყოლებული თბილისის „დინამოდან" ოფიციალურ მატჩებში ითამაშა 12 ფეხბურთელმა. ესენია ა. ღოღობერიძე, ა. ჭკუასელი, გ. ჩოხელი, მ. მესხი, ს. მეტრეველი, მ. ხურცილავა, ვ. ბარქაია, გ. ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, გ. ნოდია, რ. ძოძუაშვილი, კ. ასათიანი. მათ ანგარიშზეა მეტოქეთა კარში გატანილი 29 ბურთი (აქ ანგარიშში არ შედის ს. მეტრეველის მიერ მოსკოვის „ტორპედოში" ყოფნის პერიოდში გატანილი ბურთები).

ყველაზე მეტი მატჩი ნაკრებში ჩაატარა მ. ხურცილავამ — 43, ყველაზე მეტი ბურთი გაიტანეს ს. მეტრეველმა და მ. ხურცილავამ — 6-6.

ქუთაისის „ტორპედოდან" სსრ კავშირის I ნაკრებში მონაწილეობდნენ რ. ურუშაძე და ს. კუტივაძე.

გ. ოზოლაშვილი.

● თბილისის დინამოელებს საკავშირო ჩემპიონატებში დიდი ანგარიშით მოგებული აქვთ 113 შეხვედრა, ხოლო წაგებული — 53. ერთ მატჩში ყველაზე მეტი გოლი (9) თბილისელებმა გაიტანეს ორჯერ — მოსკოვის „ლოკომოტივთან" (1948 წ.) და ტალინის „კალევთან" (1960 წ.), მაგრამ იმავე „ლოკომოტივმა" 9 ბურთითვე უპასუხა თბილისელებს 1956 წელს.

127 საერთაშორისო შეხვედრიდან თბილისელებმა მოიგეს 72, ფრედ დაამთავრეს 26 და წააგეს 29. დინამოელებმა ყველაზე დიდი ანგარიშით მოუგეს სინგაპურის (10:0), ბირმისა (9:1) და კუბის (8:0) გუნდებს.

გ. გარაყანიძე.

● შარშან 12 აპრილს დინამოელებმა წააგეს როსტოვის არმიელებთან. წლეულს 12 აპრილი ისევ უიღბლო გამოდგა ჩვენი გუნდისთვის: იგი დამარცხდა ისევ არმიელებთან, ოღონდ ამჯერად ეს იყო მოსკოვის გუნდი.

იმავე არმიელებთან თბილისის „დინამო" ჯერგად თამაშობს 6 რიცხვში. შარშან 6 ივლისს მოუგეთ ცსკა-ს, წლეულს კი 6 მაისს — როსტოვის ასკ-ს.

რ. მოძმანაშვილი.

ტექნიკუმელთა თავყრილობა

სოხუმის სპორტსაზოგადოება „განთიადის" სპორტულ მოედანზე გაიმართა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების მეცხრე საიუბილეო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ფრენბურთში.

ლაგოდეხისა და ცაგერის ქალთა კოლექტივები ფინალში დაუმარცხებლად გავიდნენ. შეხვედრა მოიგეს ლაგოდეხელებმა — 2:1. გამარჯვებულნი (მწვრთნელი ზ. ჩახნაშვილი) პირველის ხარისხის დიპლომითა და გარდამავალი თასით დაჯილდოვდნენ. III ადგილზე არიან ბაკურციხის ფრენბურთელები. წინა სპარტაკიადაში გამარჯვებული აჩიგვარის ტექნიკუმის გუნდი ამჯერად ძალიან სუსტად გამოვიდა და IX ადგილზე აღმოჩნდა.

ვაჟთა გუნდების შეჯიბრებაში თავი ისახელეს ცაგერის ტექნიკუმის ფრენბურთელებმა, რომლებმაც ფინალში დაამარცხეს ბათუმელები (2:0) და I ადგილი გაინაღდეს (მწვრთნელი გ. გუგავა). II-III ადგილებზე გავიდნენ ბათუმისა და თელავის სპორტსმენები.

ამ შეჯიბრებით დამთავრდა სპარტაკიადა, რომლის პროგრამაშიც შედიოდა სპორტის ხუთი სახეობა — სათხილამურო სპორტი, ქართული ჭიდაობა, ველორბოლა, მძლეოსნობა და ფრენბურთი. ასპარეზობაში 30 ტექნიკუმი მონაწილეობდა.

სარბიელზე არ გამოსულან მხოლოდ ახალქალაქის წარმომადგენლები. პირად შეჯიბრებაში გამოდიოდა 3000-მდე თანრიგოსანი სპორტსმენი.

საერთო გუნდურ ჩათვლაში 24 საჯარიმო ქულით სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ ლაგოდეხის წარმომადგენლები. 43 საჯარიმო ქულით II ადგილზე არიან ლაითურის ტექნიკუმის მოსწავლეები, III ადგილი წილად ხვდა დიდი ჯიხაიშის კოლექტივს (47 ქულა).

გ. იაშვილი.
(ჩვენი კორ.).

სოხუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღაპრული ამერიკული კალათბურთი

კალათბურთი ამერიკის შეერთებულ შტატებში სპორტის № 1 ეროვნული სახეობაა. აქ რეგისტრირებულია 50 ათასი გუნდი და 5 მილიონზე მეტი ორგანიზებული სპორტსმენი. ამერიკის სკოლებში სპორტის არც ერთი სახეობა არ არის ისე გავრცელებული, როგორც კალათბურთი. კალათბურთელთა გუნდები არსებობს ყველა დაწყებით სკოლაში, რომ არაფერი ვთქვათ საშუალო სკოლებზე. სწორედ ამიტომაცაა, რომ ოლიმპიურ თამაშებში შეერთებული შტატების ნაკრებს არც ერთი მატჩი არ წაუგია. მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ დაუმარცხებელი ოლიმპიური გუნდები შტატებში უძლიერეს კოლექტივებად არ ითვლებიან, წამყვანი როლი მაინც პროფესიულ კლუბებს ეკუთვნით.

მეხიკოს ოლიმპიური თამაშების წინ ამერიკის უძლიერესმა მოყვარულმა კალათბურთელმა ლ. ალსინდორმა რასობრივი დისკრიმინაციისადმი პროტესტის ნიშნად უარი თქვა ნაკრებში თამაშზე, ხოლო მეორე ვარსკვლავი ე. ჰეიესი პროფესიონალებში გადავიდა. და მაინც, ამერიკელებმა მოიგეს ტურნირი ისე, რომ მხოლოდ ერთხელ, პუერტო-რიკოს გუნდთან შეხვედრაში იგრძნეს სერიოზული წინააღმდეგობა. ჩემთვის, მაგალითად, წარმოუდგენელია, რა ცეცხლს დაანთებდა მეხიკოში პროფესიონალთა საუკეთესო გუნდი „ნიუ-იორკ ნიკერბოკერსი".

კალათბურთი 1891 წლის ზამთარში დოქტორმა ჯ. ნეისმიტმა გამოიგონა. ეს მოხდა ჭაბუკთა ინტერნაციონალურ კოლეჯში, რომელიც მასაჩუსეტსის ქალაქ სპრინგფილდში მდებარეობს. 1937 წელს, ნეისმიტი — კანზასის უნივერსიტეტის პროფესორი წერდა: „1891 წელს მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის ხელმძღვანელები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ გერმანული, შვედური და ფრანგული სისტემები ვეღარ აკმაყოფილებენ ახალგაზრდობის მზარდ ფიზიკურ მოთხოვნებს. ჩვენ გადავწყვიტეთ გამოგვეგონებინა თამაში, რომელიც დახურულ დარბაზებშიც ივარგებდა და ღია მოედნებზეც. დოქტორმა გილიკმა მე დამავალა ამ თამაშის გამოგონება. რა თქმა უნდა, მაშინვე გადავათვალიერე უკვე ნაცნობი თამაშების ყველა ვარიანტი, მაგრამ არც ერთი მათგანი არ გამოდგა დარბაზში ჩასატარებლად. სწორედ ამიტომ უარი ვთქვი სპორტის ინდივიდუალურ სახეობებზე და აქცენტი სპორტის პრინციპულ საფუძველზე გადავიტანე. გუნდურ თამაშებში გამოყენებულია ამა თუ იმ ტიპის ბურთები, მაგრამ ამერიკული ფეხბურთი ძალზე მკაცრია. აქედან დავასკვენი, რომ საჭირო იყო ამ თამაშის მოდერნიზება — უხეშობის მინიმუმამდე დაყვანა. ამ გზით მივადექი კალათბურთის საფუძველს. შემდეგი საფეხური ქულათა ანგარიშის სისტემის განსაზღვრა იყო. მერე დადგინდა ბურთის თამაშში შეყვანის წესი და ასე დაიწყო კალათბურთმა თავისი განვითარება"...

1898 წელს შეიქმნა პირველი პროფესიული ლიგა, რომელშიც გაერთიანდნენ ნიუ-იორკის, ფილადელფიისა და ნიუ-ჯერსის გუნდები. შემდეგ შეიქმნა ლიგა ახალ ინგლისშიც (მენის, ვერმონის, მასაჩუსეტსის, კონექტიკუტის, ნიუ-ჰემპშირის, როდ-აილენდის შტატები).

1925 წელს საფუძველი ჩაეყარა „ამერიკის საკალათბურთო ლიგას", რომლის საუკეთესო გუნდი წლების მანძილზე „ნიუ-იორკ სელტიკსი" იყო. მაშინდელი ამერიკული კალათბურთის აღიარებული ვარსკვლავის — „გიგანტ" ჯ. ლაპჩიკის სიმაღლე 194 სანტიმეტრს არ აღემატებოდა. ოფიციალური სტატისტიკით მას გვერდს უმშვენებდნენ ნ. ჰოლმანი, დ. ბენკსი. ჰ. ჰეგერტი, დ. დენერტი. 1946 წელს შეიქმნა „ამერიკული კალათბურთის ასოციაცია", ხოლო 3 წლის შემდეგ ორივე ლიგა შეერთდა. იმავე 1949 წლიდან ასოციაციის შემადგენლობაში 16 გუნდი გაერთიანდა. მომდევნო წლებში მათი რიცხვი 12-მდე შემცირდა, მაგრამ დღეს ისევ პირვანდელი ვარიანტი აღდგა. ეს გაერთიანებული ლიგა ყველაზე ძლიერი პროფესიული ორგანიზაციაა, თუმცა, ბოლო ხანებში მას კონკურენციას უწევს 4 წლის წინ შექმნილი ახალი ლიგა თავისი 10-11 გუნდით.

ამერიკის პროფესიული კალათბურთის მესვეურთა წინაშე კვლავ მწვავედ დგას ლიგათა ხელახალი შერწყმის საკითხი. მართალია, პირველი ლიგა უფრო ძლიერია (აქ გამოდიან უ. ჩემბერლენი, ჯ. უესტი, ლ. ალსინდორი, ო. რობერტსონი, პ. მარავიჩი, ჯ. ჰავლიჩეკი, კ. რიდი) თავის ახალ თანამოძმეზე, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ხელახალი გაერთიანება უფრო გაზრდიდა კალათბურთის ხვედრით წონასაც და მის ეკონომიურ საფუძველსაც. სხვათა შორის, მეორე ლიგამ მეხიკოს ოლიმპიური თამაშების შემდეგ შეიძინა აშშ-ს ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი ს. ჰეივუდი, რომელშიც 1900 ათასი დოლარი გადაიხადა. მაგრამ „კალათბურთის ეროვნულმა ასოციაციამ" გაასაჩივრა ეს კონტრაქტი. საქმე ისაა, რომ წესდების შესაბამისად „ახალბედას" არა აქვს ასეთ სარფიან კონტრაქტზე ხელის მოწერის უფლება. თუ ეს ორი ლიგა ბოლოს და ბოლოს გაერთიანდა, მაშინ გაუქმდება მუდმივი სასამართლო პროცესები და კალათბურთის პროგრესიც უფრო შესამჩნევი იქნება.

კალათბურთი გიგანტთა სპორტი გახდა. ცენტრალური თავდამსხმელის სიმაღლე, როგორც წესი, 213-215 სმ-ის ფარგლებში მერყეობს, ხოლო რიგითი თავდამსხმელებისა 200-208 სმ-ის ფარგლებში. ზონური დაცვა პროფესიულ კალათბურთში უკვე აღარ არსებობს. ყველა გუნდი მხოლოდ პრესინგს მიმართავს. ევროპული სამოყვარულო კალათბურთისგან განსხვავებით, პროფესიონალებთან 24 წამის წესი მოქმედებს (ნაცვლად 30 წამისა), ისინი თამაშობენ ოთხ 12-წუთიან ტაიმს, ანუ საერთო ჯამში 8 წუთით მეტს, ვიდრე მოყვარულები. ამასთან, პროფესიონალები უფრო ზუსტად ტყორცნიან კალათში. ყველაზე მეტად გავრცელებულია სროლა ცალი ხელით, ნახტომში. კალათბურთელი ხტება რაც შეიძლება მაღლა და ნახტომის უმაღლეს ფაზაში ბურთს კალათისკენ უშვებს. ორი ხელით სროლას უკვე კარგა ხანია ვერ შეხვდებით. ტაქტიკაც მეტად მარტივია. გუნდი ბურთს ათამაშებს მანამ, სანამ ერთ-ერთი კალათბურთელი სროლისთვის თავის საყვარელ პოზიციას არ დაიკავებს.

პროფესიონალთა თამაში საგრძნობლად განსხვავდება დოქტორ ნეისმიტის გამოგონებისგან, რომელიც მთავარ მიზნად ისახავდა სახიფათო შეჯახებათა რიცხვის მაქსიმალურ შემცირებას. პროფესიონალები, როგორც წესი, თამაშობენ მწვავედ და უხეშად. ორმეტრიანი გიგანტების შეჯახებას კი მუდამ უამრავი ტრავმა მოსდევს. წლევანდელი სეზონის დასაწყისში მარცხენა მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო „ნიკერბოკერსის" კაპიტანმა უ. რიდმა. გუნდს გამოაკლდა ლიდერი, ამან კი თავისი დაღი დაასვა ნიუიორკელთა თამაშს. კლუბის წარმატება ახლა ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როდის განიკურნება დაზარალებული ტრავმისაგან. ნუ დაგვავიწყდება, რომ ყოველი კოლექტივი სეზონის მანძილზე 82 პასუხსაგებ შეხვედრას ატარებს.

პროფესიულ კლუბებს მეტწილად მრისხანე სახელწოდებები აქვთ, მაგალითად: „ზებგერითი სიეტლელები", „ჩიკაგოელი ხარები", „სანდიეგოელი რაკეტები", „სანფრანცისკოელი მეომრები", „ბალტიმორელი მოცეკვავეები", „ატლანტელი ორბები", „ფენიქსელი ვარსკვლავები", „კლივლენდელი კავალერები", და, ასე გასინჯეთ, „მილუოკელი დოლარები".

ალსინდორის, რასელის, რობერტსონისა და უესტის ტიპის ვარსკვლავებს კლუბები წელიწადში 100 ათას დოლარს უხდიან, ჩემბერლენი კი თითქმის 200 ათას დოლარს იღებს. როდესაც საუნივერსიტეტო კალათბურთის ვარსკვლავი პ. მარავიჩი პროფესიონალებში გადავიდა, „ატლანტა ჰაუკსის" კლუბმა მას რამდენიმე წლით კონტრაქტი დაუდო და 2 მილიონი დოლარი ჩაუთვალა.

პროფესიული კალათბურთის აყვავება ინტერესს უკარგავს მოყვარულთა კალათბურთს და მათს რეგიონალურ ჩემპიონატებს. კოლეჯები მეტწილად კადრებს უმზადებენ პროფესიულ კლუბებს ისევე, როგორც ამერიკულ ფეხბურთში. შეერთებული შტატების სამოყვარულო კალათბურთის მთელი ძალები კოლეჯებშია თავმოყრილი. მსოფლიო ჩემპიონატისთვის ქვეყნის ნაკრები გუნდის შერჩევა საგრძნობლად განსხვავდება ოლიმპიური გუნდის დაკომპლექტებისგან. ოლიმპიადებსშუა მსოფლიო ჩემპიონატებისადმი ამერიკელები ნაკლებ ინტერესს იჩენენ და მოყვარულთა ათლეტური კავშირი უბრალოდ აგროვებს ძლიერ მოთამაშეებს ჩემპიონატის წინ. ხოლო თუ ჩემპიონატის ჩატარების ვადები საზაფხულო არდადეგებს დაემთხვა, გუნდის შემადგენლობაში ვერ ხვდებიან საუნივერსიტეტო ვარსკვლავებიც კი. ამერიკელთა სამოყვარულო კალათბურთის მეცენატები არაფრად აგდებენ იმ ფაქტს, რომ მათი გუნდი სისტემატურად მარცხდება მსოფლიო ჩემპიონატებში.

საუნივერსიტეტო კალათბურთის ლიდერად უკლა ითვლება, რომელმაც ზედიზედ 4-ჯერ მოიგო კოლეჯთა ტურნირი. სწორედ აქედან გადავიდა პროფესიონალებში ლ. ალსინდორი. საუნივერსიტეტო სეზონის დამთავრების შემდეგ „მედისონ სკვერ გარდენში" იწყობა ტურნირი 25 საუკეთესო გუნდის მონაწილეობით. ორმეტრიან მოთამაშეებს ხშირად შეხვდებით ამ კოლექტივებში. „ჯექსონვილის" კლუბში ორი ცენტრალური თავდამსხმელია 213 სმ სიმაღლისა, ხოლო უკლას ლიდერი ს. უიკსი ტანად 210 სანტიმეტრს აღემატება.

კოლეჯები სეზონში 22-26 მატჩს ატარებენ. მსხვილი კოლეჯების გარდა ლოკალურ ტურნირებში მონაწილეობენ უმნიშვნელო კოლეჯებიც. პროფესიონალების მსგავსად კოლეჯებიც იღებენ „წვევამდელებს" უფრო დაბალი რანგის გუნდებში — ამ შემთხვევაში სკოლებში. დღესთვის რეგისტრირებულია 40 ათასი ოფიციალური სასკოლო გუნდი. საუკეთესო მოთამაშეებს ეპატიჟებიან მსხვილი კოლეჯები. უკლამ ალსინდორს ნიუ-იორკის ერთ-ერთ სკოლაში მიაგნო. პ. მარავიჩი კი ლუიზიანის სკოლაში აღმოაჩინეს. ასე რომ, კოლეჯების გუნდები სკოლების ვარსკვლავთაგან დაკომპლექტებული თავისებური ნაკრები კოლექტივებია. პროფესიონალთა კლუბები კი კოლეჯთა ვარსკვლავების თავმოყრა.

შეერთებულ შტატებში კალათბურთის პოპულარობაზე მაყურებელთა რაოდენობითაც შეიძლება ვიმსჯელოთ. მოსწავლეთა გუნდების მატჩებს საშუალოდ 60 მილიონი ადამიანი ესწრება, 19 მილიონ მაყურებელს იზიდავს კოლეჯთა 1100 გუნდი, ხოლო 3,5 მილიონს — პროფესიონალთა მატჩები. როგორც ხედავთ, კალათბურთს ყოველწლიურად თითქმის 100-მილიონიანი აუდიტორია ჰყავს. ამ მხრივ ჯეიმს ნეისმიტის გამოგონებას კონკურენციას უწევს მხოლოდ საცხენოსნო დოღები — წელიწადში 70 მილიონამდე მაყურებელი.

კ. რაიანი.

ფრანგულიდან თარგმნა **მ. ბარამიამ.**

● ●

რედაქციისგან: კ. რაიანის წერილი ამერიკული სამოყვარულო და პროფესიული კალათბურთის შესახებ საინტერესოც არის და ამავე დროს ცალმხრივიც. საინტერესოა იგი იმდენად, რამდენადაც ერთგვარ წარმოდგენას გვაძლევს ამერიკის პროფესიულ კალათბურთზე. მაგრამ წერილის ავტორი მთელ რიგ ფაქტებს არასწორად ანზოგადებს და ზერელე დასკვნებსაც აკეთებს.

მაგალითად, აზრი იმის შესახებ, რომ ამერიკელები არაფრად აგდებენ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობას, არ არის სწორი. ბოლო ჩემპიონატში, რომელიც შარშან ლიუბლიანაში (იუგოსლავია) ჩატარდა, უკვე ცნობილი იყო, რომ ამერიკას სამოყვარულო კალათბურთის მესვეურებმა მომავლის ვრცელი პროგრამა შეიმუშავეს, რომ ჩამოაყალიბონ ქვეყნის ერთიანი ნაკრები, რომელიც, როგორც დამოუკიდებელი გუნდი, სპეციალურ საწვრთნელ შეკრებებს გაივლის ცნობილი სპეციალისტების მონაწილეობით და ა. შ.

კ. რაიანი ერთობ ღია ფერებით ხატავს პროფესიონალ სპორტსმენთა ცხოვრებას. იმ დროს, როცა თვით ამერიკული წყაროები საწინააღმდეგო ფაქტებს ბეჭდავენ. ისიც კარგად არის ცნობილი, თუ კონტრაქტით მიღებული დოლარების რა რაოდენობა რჩება თვით სპორტსმენს და რა თანხას იღებენ კლუბები. მაგრამ რაიანს, რა თქმა უნდა, მიზნად არ დაუსახავს პროფესიული კალათბურთის სოციალური საფუძვლების ანალიზი, ამიტომაც მის წერილს მხოლოდ ინფორმაციული ღირსება აქვს, მით უმეტეს, რომ ჩვენში იშვიათად იბეჭდება მასალები ამერიკის სამოყვარულო და პროფესიულ კალათბურთზე.

სურათებზე: მარცხნივ — პროფესიული კალათბურთის ყველაზე პოპულარული ვარსკვლავი უ. ჩემბერლენი; მარჯვნივ — „ნიუ-იორკ ნიკერბოკერსისა" და „ფილადელფიის" გუნდების შეხვედრის მომენტი. მარჯვნიდან — ფილადელფიელი ჯ. გრირი (№ 15) და ნიუიორკელთა კაპიტანი უ. რიდი (№ 9).

ჩვენი თემაა ახალგაზრდობა

ვახშის თავზე

ამ მზემოკიდებულ ბიჭებს შუა აზიაში ყველაზე დიდი — ნურეკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე მარტო ფორმის ტანსაცმელზე გამოსახული ემბლემებით როდი იცნობენ. მთამსვლელ-კლდეზე მცოცავთა სპეციალური სამშენებლო რაზმის მუშაობას მთელი მშენებლობა ხედავს. თუმცა, ემბლემა მართლაც უჩვეულოა: ლაჟვარდისფერ ცის ფონზე მთების სილუეტი და ჰიდროსადგურის ნაწერები.

კლდეზე მცოცავები თავბრუდამხვევ სიმაღლეზე, როგორც იტყვიან, ცაში არიან გამოკიდებულნი მცხუნვარე მზესა და მდინარე ვახშის აქაფებულ ტალღებს შუა. ეს ახალი სამუშაო სპეციალობა მთებში მუშაობის თავისებურებამ წარმოშვა. მშენებელი კლდეზე მცოცავი მზურღავიც უნდა იყოს, მებეტონეც, ელექტროშემდუღებელიც, ამფეთქებელიც ერთი სიტყვით, იგი მშენებლობაზე საჭირო თითქმის 10 პროფესიას უნდა ფლობდეს.

— ჩვენი მიზანია, — ამბობს რაზმის კომისარი, სპორტის ოსტატი მთამსვლელობაში, მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი სასწავლებლის დოცენტი ა. ბელოპუხოვი, — უზრუნველვყოთ მათი მუშაობა, ვინც დაბლა, მთის ძირას, დგუშებთან შრომობს, გაჰყავს გვირაბები, დააქვს ტვირთი.

აქ საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საგზურებით ჩამოსული მთამსვლელები ასუფთავებენ მთის ფერდობებს ჰიდროკვანძის ძირითადი ნაგებობების რაიონში. სპეციალური ფოლადის ბადისა და ბაგირების დახმარებით აწყობენ „ქვის საჭერებს", რომელთაც ზოგჯერ რამდენიმე ასეული მეტრი უჭირავთ. ახლა რაზმი ამაგრებს გრანიტის უზარმაზარ ლოდს, რომელიც წონით თითქმის 2 ათასი ტონაა. იგი კლდის ფერდს დაშორდა და 400 მეტრის სიმაღლეზე პირდაპირ კაშხალის თავზე დაეკიდა. მხურვალე მზის ქვეშ სპორტსმენებმა აქ ამოიტანეს თითქმის ნახევარტონიანი ტრანსფორმატორი, გაიყვანეს ჰაერსადენი, ელექტროკაბელი.

თითქმის მთელი მოწყობილობისა და სამშენებლო მასალის ატანა თვითონ მთამსვლელებს უხდებათ, რადგან შვეულმფრენის დასაჯდომად მოედანი არ კმარა და ქარიც ხელს უშლის. მთამსვლელები ერთმანეთს ცვლიან დიდ სიმაღლეზე და თითოეულს 50 კილოგრამი ტვირთი მაინც მიაქვს. ახალგაზრდები თავს არ ზოგავენ, რათა ურჩი კლდე ბეტონის ტყვეობაში მოაქციონ.

„ბურევესტნიკის" კლდეზე მცოცავებმა მთების სტიქიას სიმამაცე და პროფესიული სპორტული ოსტატობა დაუპირისპირეს. თითქმის ყველა მათგანი ან გეოლოგია, ან სამთო ინჟინერი, ან ელექტრომექანიკოსი. მათ შორის ბევრი სახელგანთქმული სპორტის ოსტატია. დავასახელოთ სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი კლდეზე ცოცვაში, ლენინგრადელი გ. გავრილოვი, ქვეყნის ჩემპიონები ა. მიხაილოვი და ტ. სამოილინი სვერდლოვსკიდან. რაზმს ხელმძღვანელობს სსრ კავშირის ოთხგზის ჩემპიონი მთამსვლელობაში, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, მოსკოველი ვ. ბოჟუკოვი.

გ. დეინიჩენკო.
(საკდესის კორ.).

ნურეკი, ტაჯიკეთის სსრ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუფასდათ

ახლახან თბილისში გაიმართა საქართველოს პროფტექნიკური სასწავლებლების სპორტსმენთა და მწვრთნელთა რესპუბლიკური აქტივის კრება, სადაც შეჯამდა ამ ტიპის სასწავლებლების რესპუბლიკური სპარტაკიადის შედეგები.

კრების დასასრულს „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს წარმომადგენელმა ი. მუსაევმა საქართველოს პროფტექგანათლების სახელმწიფო კომიტეტისა და „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარეს მ. ჩიხლაძეს გადასცა ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის გარდამავალი თასი და სიგელი მასობრივ-ფიზკულტურულ და გამაჯანსაღებელ მუშაობაში გამართულ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისთვის.

თბილისის მ. თოიძის სახელობის მე-11 პროფტექნიკური სასწავლებლის (დირექტორი ა. ზედელაშვილი) ფიზკულტურის კოლექტივი (ხელმძღვანელი ტ. ვაჭარაძე) დაჯილდოვდა ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტისა და „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს თასითა და სიგელით ფიზკულტურის კოლექტივებს შორის მუშაობის საუკეთესოდ დაყენებისთვის.

ა. გურასაშვილი.

ჩვენი კორესპონდენტები

ცხინვალი

ახლახან აქ გაიმართა „კოლმეურნის" სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს პლენუმი, რომელზეც განიხილეს საკითხი: „მე-8 ხუთწლედის შედეგები და მე-9 ხუთწლედში ოლქის სოფლის ფიზკულტურული ორგანიზაციების ამოცანები". მოხსენება გააკეთა „კოლმეურნის" საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ ა. გალეგაშვილმა. შემდეგ გაიმართა კამათი. სიტყვებით გამოვიდნენ. ზ. მღებროვი („კოლმეურნის" ლენინგორის რაისაბჭოს თავმჯდომარე), ი. გაბაევი (დმენისის კოლმეურნეობის ფიზკულტურული საბჭოს თავმჯდომარე), ზ. თხელიძე („კოლმეურნის" ზნაურის რაისაბჭოს თავმჯდომარე), ა. გაგლოევი (თამარაშენის საბჭოთა მეურნეობის ინსტრუქტორ-მეთოდისტი), ვ. ქარსანოვი („კოლმეურნის" ჯავის რაისაბჭოს თავმჯდომარე). ბოლოს სიტყვით გამოვიდა „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე შ. სუხიშვილი. პლენუმმა მიიღო დადგენილება.

ვ. მელქოევი.

ზუგდიდი

დამთავრდა რაიონის მოსწავლეთა სპარტაკიადა. ნორჩები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ 12 სახეობაში. კომპლექსურ ჩათვლაში I ადგილი მოიპოვა ცაიშის საშუალო სკოლის ნაკრებმა. II ადგილი დაიკავა ახალსოფლის სკოლა-ინტერნატმა, III — ინგირის 1-ლმა საშუალო სკოლამ.

კ. ფიფია.

სიღნაღი

აქ გაიმართა „განთიადის" რაისაბჭოს სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში 7 სახეობა შედიოდა. სპარტაკიადაში საერთო I ადგილი მოიპოვა სიღნაღის მე-16 სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა. II ადგილზე გავიდნენ წნორის მექანიკური ქარხნის ფიზკულტურელები, III — სიღნაღის „სამტრესტის" ქარხანა-სამმართველოს წარმომადგენლები.

ი. აბულაშვილი,
„განთიადის" სიღნაღის რაისაბჭოს თავმჯდომარე.

საჩხერე

აქ გაიმართა შეჯიბრებები სასკოლო გუნდებს შორის ფრენბურთში, მძლეოსნობასა და ფეხბურთში. სამივე სახეობაში ყველას აჯობეს საჩხერის შ. რუსთაველის სახელობის საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა.

ა. ანასაშვილი.

მაიაკოვსკი

აქ დამთავრებულ მოსწავლეთა რაიონული სპარტაკიადის კომპლექსურ ჩათვლაში ყველას აჯობა ე. ნინოშვილის სახელობის საშუალო სკოლის ნაკრებმა. II ადგილი დაიკავა დიმის 1-ელმა საშუალო სკოლამ, III — ობჩის საშუალო სკოლამ. 8-წლიან სკოლებში პირველობა დაისაკუთრეს წყალთშუელებმა, II ადგილი — დიმელებმა, III — მაიაკოვსკელებმა.

რ. ენდელაძე,
მაიაკოვსკის სპორტსკოლის დირექტორი.

კვალიფიკაცია აიმაღლეს

ახლახან საქართველოს განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა მოაწყო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფიზაღზრდის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. წაკითხული იქნა განათლების სამინისტროს წარმომადგენლების გ. მერკვილაძის, ი. ბაცელაშვილის, დოცენტ ზ. კოვზირიძისა და სხვათა მოხსენებები. კურსები მოეწყო ფიზკულტურის ინსტიტუტში, სადაც მეცადინეობისთვის ყველა პირობა იყო შექმნილი. მსმენელებმა გამართეს შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

აღსანიშნავია, რომ წლეულს ამ კურსებზე კვალიფიკაციას იმაღლებდნენ აზერბაიჯანის ქართული სკოლების მასწავლებლებიც.

ვ. ქუთათელაძე,
საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი.

ვლადიმერ ნავროზაშვილი

არ დარჩენილა ჩვენი სამშობლოს არც ერთი კუთხე, მის მოტოციკლს რომ არ გაევლოს.

ქართველ სპორტსმენთა ძველ პლეადას გამოაკლდა ღვაწლმოსილი ადამიანი, შესანიშნავი პატრიოტი და მოქალაქე, სსრ კავშირის სპორტის ოსტატი, მილიციის თადარიგის პოდპოლკოვნიკი ვლადიმერ კონსტანტინეს ძე ნავროზაშვილი.

წლეულს დეკემბერში მას 69 წელი შეუსრულდებოდა. და მაინც, ვლადიმერ ნავროზაშვილი სავსე იყო ახალგაზრდული ენერგიითა და ენთუზიაზმით, რაც ესოდენ ავსებდა მის ბუნებრივ სიდინჯეს და მდიდარ ცხოვრებისეულ გამოცდილებას. ძნელი, მაგრამ საპატიო პროფესიის მიუხედავად (იგი პენსიაში გასვლამდე ხანგრძლივად მუშაობდა მილიციის ორგანოებში), ვ. ნავროზაშვილს წუთითაც არ შეუწყვეტია სპორტული საქმიანობა. ავტო-მოტოტურიზმის ტრფიალმა გაიარა გზა ახალგაზრდა სპორტსმენიდან სსრ კავშირის სპორტის ოსტატამდე.

იგი ორგანიზატორი იყო თითქმის ყველა საავიტაციო, მასობრივი და სარეკორდო ლაშქრობისა, ფასდაუდებელი ამაგი მიუძღვის საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებში რესპუბლიკის კომკავშირელთა და ახალგაზრდობის მასობრივი ლაშქრობების ორგანიზაციაში. მისი მოღვაწეობა ამ სფეროში მრავალგზის აღინიშნა საკავშირო და რესპუბლიკური პრიზებით, დიპლომებითა და სიგელებით. ვ. ნავროზაშვილის ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით რესპუბლიკის მრავალ ქალაქსა და რაიონში შეიქმნა ავტო მოტოტურიზმის სექციები.

შრომითი საქმიანობის პერიოდში იგი დაჯილდოებული იყო წითელი ვარსკვლავის ორდენით, 2 მედლით საბრძოლო დამსახურებისთვის და სხვა მედლებით. 1967 წელს ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალურმა საბჭომ მას საზეიმოდ გადასცა სამკერდე ნიშანი ტურიზმის განვითარებაში აქტიური მუშაობისთვის. იგი იყო ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, ავტო-მოტოტურიზმის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე და რესპუბლიკური სამარშრუტო-საკვალიფიკაციო კომისიის წევრი.

გულისხმიერი ადამიანის, შეგნებული მოქალაქისა და გულმართალი ვაჟკაცის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ყველას გულში, ვინც მას იცნობდა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი,
ტურიზმისა და ექსკურსიების საქართველოს რესპუბლიკური საბჭო.

ახალი ამბები-71

● **კიოლნი, 30 ივნისი.** მძლეოსანთა აქ გამართულ საერთაშორისო ასპარეზობაში 1000 მეტრზე რბენაში მსოფლიოში სეზონის საუკეთესო შედეგი აჩვენა დასავლეთგერმანელმა სპორტსმენმა ფ.-ი. კემპერმა — 2.18,9. უროს ტყორცნაში საუკეთესო იყო ვ. შმიდტი (გფრ) —73,02 მ, იუგოსლაველმა სპორტსმენმა ქალმა ვ. ნიკოლიჩმა 800 მეტრის გარბენას 2.02,4 მოანდომა.

● **რიგა, 30 ივნისი.** ლატვიის საზღვაო კლუბის გუნდის გამარჯვებით დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება წყალქვეშა სპორტულ ნადირობაში. ასპარეზობაში გამოდიოდა 12 ქალაქის 76 სპორტსმენი.

● **მოსკოვი, 1 ივლისი.** მოფარიკავეთა მსოფლიო პირველობაში მონაწილეობის მისაღებად დღეს ავსტრიაში გაფრინდა სსრ კავშირის ნაკრები გუნდი — გ. გოროხოვა, ე. ბელოვა-ნოვიკოვა, ა. ზაბელინა, ვ. პუტიატინი, ა. ნიკანჩიკოვი, მ. რაკიტა, ვ. სიდიაკი, გ. კრისი; დებიუტანტები — ნ. ივანოვა, ლ. რუსაკი, ვ. დენისოვი და ვ. ბაჟენოვი. ჩემპიონატი ჩატარდება ავსტრიის დედაქალაქში 5-დან 16 ივლისამდე.

● **ბონი, 1 ივლისი.** დასავლეთგერმანელმა მხედარმა ჰ. სტენკენმა წინაღობათა გად ლახვაში ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიხვეჭა — 11,5 საჯარიმო ქულა. მეორე პრიზიორია ინგლისელი ჰ. სმითი — 13,5, ბრინჯაოს მედალი წილად ხვდა შვეიცარიელ პ. ვაიერს — 14. საბჭოთა სპორტსმენებიდან საუკეთესო იყო მოსკოველი ვ. მატვეევი — VIII ადგილი.

● **რომი, 1 ივლისი.** იტალიის ქალაქ ბასანო-დელ-გრაპის ცემენტისსაფარიან ტრეკზე ერთსაათიან სალიდერო რბოლაში მოყვარულთა და პროფესიონალთა მსოფლიო რეკორდები დაამყარეს ე. კასტოლდიმ (72 კმ, 250 მ) და დ. დე ლილომ (73 კმ, 700 მ). ორივე შემთხვევაში ველომრბოლელთა ლიდერი იყო ბელგიელი გულემანი, რომელიც მართავდა „რენე ჯილეტის" მარკას მოტოციკლს.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

მონრეალი, 1 ივლისი. კანადის ამ ქალაქში გაიმართა საჩვენებელი მატჩი ბრაზილიის „სანტოსსა" და იტალიის „ბოლონიას" შორის. ერთადერთი ბურთი, რომელმაც გადაწყვიტა თამაშის ბედი, პირველ ტაიმში გაიტანა პელემ.

კოპენჰაგენი, 1 ივლისი. ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში აქ ერთმანეთს შეხვდნენ გფრ-ისა და დანიის ნაკრები გუნდები. გაიმარჯვეს გერმანელმა ფეხბურთელებმა — 3:1.

მალმე, 1 ივლისი. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე შვეციის სახელს დაიცავს „ატვიდაბერგი", რომელმაც მოიხვეჭა თავისი ქვეყნის თასი, მან ფინალში სძლია „მალმეს" — 3:2.

გადამწყვეტ მატჩში

შვეიცარიის ჩემპიონატმა ვერ გამოავლინა ერთპიროვნული გამარჯვებული: 42-42 ქულა მოაგროვეს შარშანდელმა ჩემპიონმა „ბაზელმა" და ციურიხის ცნობილმა კლუბმა „გრასჰოპერსმა". დაინიშნა გადამწყვეტი მატჩი ნეიტრალურ მინდორზე, ბერნში. ანგარიშით 4:3 გაიმარჯვა „გრასჰოპერსმა", რომელმაც მოიპოვა კიდეც შვეიცარიის ჩემპიონის წოდება.

ამას წინათ ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში დამთავრებულ ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატში ზემძიმე წონის ათლეტთა შორის სამჭიდში მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვა საბჭოთა სპორტსმენმა ს. ბატიშჩევმა, რომელმაც დააგროვა 607,5 კგ.

• • •



ს უ რ ა თ ზ ე: ბატიშჩევი ასპარეზობისას.

ვ. შანდრინის ფოტო.
(ტასსის ფოტოქრონიკა).

ბ. ჩარლტონი გამოეთხოვა ნაკრებს

ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა ა. რამსეიმ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ გუნდის გაახალგაზრდავების გამო იგი ამიერიდან აღარ მიიწვევს ბ. ჩარლტონს.

აი, ბ. ჩარლტონის კომენტარიც ამ ამბის გამო:

— რა თქმა უნდა, რამსეიმ სწორი გადაწყვეტილება მიიღო. დადგა დრო, როცა ადგილი ნაკრებში ინგლისური ფეხბურთის ახალი თაობის რომელიმე წარმომადგენელს უნდა დავუთმო.

ბ. ჩარლტონზე ასეთი აზრი გამოთქვა წარსულში განთქმულმა ფეხბურთელმა, ახლა კი რადიოკომენტატორმა ბ. რაიტმა, როცა ბობი 106-ედ გამოვიდა მინდორზე ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში და რაიტის რეკორდი (105 მატჩი) მოხსნა:

— ინგლისის ფეხბურთს არასოდეს ჰყოლია ისეთი ბრწყინვალე ოსტატი, როგორიც ბობი ჩარლტონია. მისი ხელოვნება მუდმივად მისაბაძი იქნება.

მაგრამ ბ. ჩარლტონი (დაიბადა 1937 წელს, 11 ოქტომბერს) ჯერ თავს არ ანებებს ფეხბურთს. იგი შეუცვლელია „მანჩესტერ იუნაიტედში", სადაც მთელი თავისი კარიერა გაატარა. საინტერესო დეტალია: ბობი არასოდეს არ გაუძევებიათ მინდვრიდან, რისთვისაც „ფეხბურთის ჯენტლმენის" სახელი დაიმსახურა.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

თბილისის სპორტულ ცხოვრება

სახანძრო გამოყენებითი სპორტი. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა. 8 ივლისი. „ლოკომოტივის" სტადიონი, დასაწყისი 9 ს.

გაზეთ „ლელოს" რედაქციის კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა სპორტის ოსტატი
ვლადიმერ კონსტანტინეს ძე ნავროზაშვილი
და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი 3/VII, 8 ს. გამოსვენება 4/VII, 4 ს. ანაგის ქ. № 34.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 04734